



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი

06/02/2024



MES 3 24 0000118570

**"სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის  
"ხმის რეჟისურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ"  
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783039  
გადაწყვეტილების დანართ №1 -ში ცვლილების შეტანის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. „სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხმის რეჟისურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბერის N 1783039 გადაწყვეტილების დანართ№1-ში განხორციელდეს ტექნიკური შესწორება და აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს 2030 წლის 15 დეკემბერი.
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 06 თებერვლის №118550 ოქმის №06 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.

№2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
რატიანი რატი

რ. რატიანი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბუჩაშვილი გოდერძი



